ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

დავით კაკაბაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი შონია – კოლეგიის წევრი

დავით კვაჭანტირაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ს. კ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.11.2012

საჩივრის რეგისტრაციის №134/12

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ მ. ქ.–ის მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ქ.–ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

   1.1 2012 წლის 12 ნოემბერს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ს. კ. გ.–მა და მოითხოვა ადვოკატ მ. ქ.–ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2012 წლის 15 ივნისს გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება ადვოკატ მ. ქ.–სთან, რომელსაც უნდა დაეცვა მისი მეუღლის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე. 2012 წლის 16 ივნისს ადვოკატი მას დაჰპირდა, რომ მის მეუღლეს საპროცესო გარიგების დადების შედეგად მიუსჯიდნენ 6 თვეს, რეალურ სასჯელს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2012 წლის მაისში მისმა მეუღლემ ადვოკატ მ. ქ.–ს აცნობა მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ. ადვოკატმა არაფერი მოიმოქმედა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2012 წლის აგვისტოში ადვოკატ მ. ქ.–ს სთხოვა, რომ შეხვედროდა მის მეუღლეს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეების გასაგებად, თუმცა, ადვოკატი არ შეხვდა საჩივრის ავტორის მეუღლეს. ადვოკატი მ. ქ. საჩივრის ავტორის სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, როდესაც შეიტყო, რომ ადვოკატი მ. ქ. აღარ თანამშრომლობდა BGI–სთან, რამდენჯერმე მივიდა მ. ქ.–ის მიერ დაფუძნებულ ფირმაში, მაგრამ ადვოკატი ვერ ნახა.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ მ. ქ.–ს სრულად გადაუხადა საადვოკატო მომსახურების საფასური და ასევე გადასცა სასამართლო ჯარიმის თანხა.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის დროს ადვოკატ მ. ქ.–სთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება არ ჰქონდა შეწყვეტილი. საჩივრის ავტორის განცხადებით, 2012 წლის ნოემბერში აიყვანა ახალი ადვოკატი, რომელმაც მოინახულა მისი მეუღლე.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მ. ქ.–მ 2012 წლის 17 ივლისიდან 2012 წლის 31 ოქტომბრამდე მხოლოდ ორჯერ მოინახულა კლიენტი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორს მისთვის არ უთქვამს, რომ ბრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა პირობითი მსჯავრის ქვეშ ყოფნის დროს. აღნიშნული ფაქტის არ ცოდნის გამო კლიენტს დროულად ვერ განუმარტა კანონით გათვალისწინებული შესაძლო შედეგები.

2.2. ადვოკატის განმარტებით, კლიენტის მიერ გადაცემული, დაზარალებულისათვის გადასახდელი ფულადი თანხა, სრულად გადასცა დაზარალებულს. ამის შემდეგ დაზარალებულმა განაცხადა, რომ მას ბრალდებულთან პრეტენზია აღარ გააჩნდა.

2.3. ადვოკატის განმარტებით, ბრალდების მხარე დათანხმდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, რომლის მიხედვით ბრალდებულს რეალური სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრებოდა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, აქედან, 6 თვე

მიმდინარე საქმეზე ჩადენილი დანაშაულისთვის და 2 წელი და 6 თვე დაემატებოდა, ,,გაუცოცხლდებოდა," რადგან პირობითი მსჯავრის ქვეშ ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული.

2.4. ადვოკატის განცხადებით, მან ქალბატონ ს.–ს აუხსნა აღნიშნული ვითარება და მასთან შეთანხმებით, კლიენტისათვის უკეთესი შედეგის მისაღწევად მოლაპარაკება აწარმოა ბრალდების მხარესთან.

2.5. ადვოკატის განცხადებით, ბრალდებულთან და საჩივრის ავტორთან შეთანხმებით გურჯაანის რაიონულ სასამართლოში საქმე არსებითად დაასრულეს და გადაწყვიტეს, რომ მოლაპარაკებას გააგრძელებდნენ სააპელაციო სასამართლოში.

2.6. ადვოკატის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა 4-5-ჯერ გადაიდო იმ საფუძვლით, რომ მხარეებს შორის განახლებული პირობებით მიმდინარეობდა მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმებაზე. საბოლოოდ, პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას შეთავაზებულ პირობებზე უკეთესი პირობების შეთანხმება ვერ მოხერხდება და კლიენტის თანხმობით, საპროცესო შეთანხმება დაიდო სამ წელ რეალურ სასჯელზე. ამასთან, დამატებითი სახით ჯარიმის თანხა 3000 (სამი ათასი) ლარის ნაცვად განისაზღვრა 2000 (ორი ათასი) ლარით.

2.7. ადვოკატის განცხადებით, მას საჩივრის ავტორთან და ბრალდებულის ოჯახთან ხშირი კონტაქტი ჰქონდა და ისინი ინფორმირებულნი იყვნენ საქმის მიმდინარეობის შესახებ. საჩივრის ავტორი ხშირად ეკონტაქტებოდა მას ტელეფონით, რასაც დაადასტურებს ადვოკატის ტელეფონის ნომერზე შემავალი ზარების ამონაწერი. ასევე, ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი მისივე თხოვნით წაიყვანა სასამართლოს ერთ–ერთ სხდომაზე და გზაში თარჯიმნის დახმარებით ისაუბრეს საქმის ვითარებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ფაქტს დაადასტურებს თარჯიმანი ს. ნ.

2.8. ადვოკატის განმარტებით, კლიენტმა მას მართლა უთხრა, რომ ადვოკატ მ. ქ.–ის საქმეში ჩართვამდე რამდენიმე თვით ადრე ის სცემეს და დაუზიანდა ყური. დაზიანება გარეგნულად არ ეტყობოდა, თუმცა მაინც აწუხებდა. ადვოკატის განმარტებით, კლიენტმა მას განუცხადა, რომ მთავარი იყო საქმის კარგად დასრულება და არ აპირებდა ჩივილს მისი ცემის ფაქტთან დაკავშირებით. ასევე სთხოვა, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ მიეწოდებინა მისი ოჯახის წევრებისთვის, რადგან არ სურდა, რომ მათ ენერვიულათ.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

3.1. 2012 წლის 12 დეკემბერს მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ. ქ.–ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდება, რომ ადვოკატი მ. ქ. 2012 წლის 15 ივლისის ს. კ.–ს გ.–სა და სპს ,,გ. ყ. და პარტნიორებს“ შორის გაფორმებული იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებდა გ. ა.–ის (ს. კ. გ.–ის მეუღლის) ინტერესების დაცვას, ადგილი ექნება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევას, რომლის მიხედვით ,,კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.“

3.3. განსახილველ შემთხვევაში, 2012 წლის 15 ივლისს ს. კ. გ.–სა და სპს ,,გ. ყ. და პარტნიორებს“ შორის გაფორმებული იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულების 3.3. პუნქტის თანახმად: ,,ადვოკატი იღებს ვალდებულებას არ გაახმაუროს კომერციული და ნებისმიერი სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც გახდება მისთვის ცნობილი კლიენტის დოკუმენტაციიდან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მისი შეწყვეტიდან 10 (ათი) წლის მანძილზე.“

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდაო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება ს. კ. გ.–სა და სპს ,,გ. ყ. და პარტნიორებს“ შორის გაფორმდა 2012 წლის 15 ივლისს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ს. კ. გ.–ს 2012 წლის 12 ნოემბრის საჩივარი (ს.ფ. 3)
2. 2012 წლის 15 ივლისის ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ (ს.ფ. 29)

4.1.2 სპს ,,გ. ყ. და პარტნიორებს“ შორის გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების 3.3. პუნქტში მითითებულია შემდეგი: ,,ადვოკატი იღებს ვალდებულებას არ გაახმაუროს კომერციული და ნებისმიერი სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც გახდება მისთვის ცნობილი კლიენტის დოკუმენტაციიდან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მისი შეწყვეტიდან 10 (ათი) წლის მანძილზე.“

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2012 წლის 15 ივლისის ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ (ს.ფ. 29)

4.1.3 ადვოკატი მ. ქ. 2012 წლის 15 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებდა საჩივრის ავტორის მეუღლის, გ. ა.–ს ინტერესების დაცვას.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ს. კ. გ.–ს 2012 წლის 12 ნოემბრის საჩივარი (ს.ფ. 3)
2. ადვოკატ მ. ქ.–ის ახსნა-განმარტება (ს.ფ. 45)
3. 2012 წლის 15 ივლისის ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ (ს.ფ. 29)

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. ქ.–ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. ქ.–ის მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად: ,,კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.“

6.2 ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში და ადვოკატს ეკისრება ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება კლიენტის საქმესთან დაკავშირებით საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგ, გარდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

6.3 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 09 სექტემბერის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №029/11, განმარტა: ,,კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება მოიცავს კლიენტისაგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებულ ინფორმაციას, რომლის დაცვის ვალდებულება ადვოკატს უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ.“

6.4 2012 წლის 15 ივლისის საჩივრის ავტორსა და სპს ,,გ. ყ. და პარტნიორებს“ შორის გაფორმებული იურიდიული მომსახურების გაწევის ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატი მ. ქ. იცავდა საჩივრის ავტორის მეუღლის, გ. ა.–ს ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე და შესაბამისად, მასზე ვრცელდებოდა ხელშეკრულების 3.3. პუნქტით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების შეზღუდვა, რომლის მიხედვითაც ,,ადვოკატი იღებს ვალდებულებას არ გაახმაუროს კომერციული და ნებისმიერი სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც გახდება მისთვის ცნობილი კლიენტის დოკუმენტაციიდან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მისი შეწყვეტიდან 10 (ათი) წლის მანძილზე.“

6.5 ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებით კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების გარკვეული ვადით შეზღუდვა ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას იმის მიუხედავად, რომ კლიენტმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებაზე და შესაბამისად, დაეთანხმა მასში მითითებულ პირობებს.

6.6 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს არ გაუხმაურებია კონფიდენციალური ინფორმაცია, ადვოკატის მიერ აღნიშნული პუნქტის მითითება ხელშეკრულებაში ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნას-კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში. დაუშვებელია, ადვოკატმა საკუთარ თავს კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით მიანიჭოს ისეთი ქმედების განხორციელების უფლება, რასაც უკრძალავს პროფესიული ეთიკის ნორმები. განსახილველ შემთხვევაში, კლიენტს შეეზღუდა უფლება-ადვოკატის მიერ მისი საქმის შესახებ მიღებული ინფორმაცია განუსაზღვრელი ვადით დარჩეს კონფიდენციალური, გარდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა პროფესული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ მ. ქ.–ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.

3. ადვოკატ მ. ქ.–ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (ქ. თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /დავით კაკაბაძე/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი შონია/

კოლეგიის წევრი: /დავით კვაჭანტირაძე/